ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7194434

ნომერი: AR11053535

თარიღი : 15.08.2024

გაცემის თარიღი : 26.08.2024

გაცნობის თარიღი : 26.08.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი IV , კორპ. N25-ის მიმდებარედ , ნაკვ.04/025;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი გოგოხია პ/ნ 62006054878
- უნივერსიტეტის 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 აპრილის №7010056 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 15 აგვისტოს №AR11053535 განცხადებით მომართა ირაკლი გოგოხიამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 30 აპრილის

№7010056 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 30 აპრილის №7010056 ბრძანებით №01.10.07.004.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 30 აპრილიდან 2027 წლის 30 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 30 აპრილის №7010056 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე ზოგიერთ ბინაზე არასწორად იქნა მითითებული ბინის ნომერი. შესაბამისად, ითხოვს წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლებას. განმცხადებელს, ასევე, სურს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად ღია ავტოსადგომების ფართობის 637.9 კვ.მ-ის დაფიქსირება.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ შეთანხმებული „გ-დ“ ბლოკების გარე ავტოსადგომების გეგმის მიხედვით, „გ“ და „დ“ ბლოკებისთვის განკუთვნილია 49 ღია ავტოსადგომი და მათი საერთო ფართობი შეადგენს 637.9 კვ.მ-ს. ამასთან, წარმოდგენილი „გ-დ“ ბლოკების გარე ავტოსადგომების გეგმა არ იცვლება აღნიშნულ გეგმაზე ხდება მხოლოდ ღია ავტოსადგომების ზომების დაზუსტება.
ასევე, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია „გ“ ბლოკის როგორც შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები, ასევე, „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებული გეგმები, რომლებზეც დაზუსტებულია ბინების ნუმერაცია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 აპრილის №7010056 ბრძანებაში და:
1.1. აღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 637.9 კვ.მ.
1.2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152653 ბრძანებით შეთანხმებული „გ-დ“ ბლოკების გარე ავტოსადგომების გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე გეგმით.
1.3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152653 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული და „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებული „გ“ ბლოკის გეგმები (გარდა, -3.00 და +40.00 ნიშნულების გეგმებისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე არქიტექტურული და „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებული „გ“ ბლოკის გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 აპრილის №7010056 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 აპრილის №7010056 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.